Nationalism & Ethnicity Studies Center

ევროპის საიმიგრაციო კრიზისი მემარჯვენე პოპულისტურ დისკურსში ვიშეგრადის ოთხეულის შედარებითი ანალიზი (2015-2018 წლები)

მარიამ განუგრავა

საგარეო საქმეთა სამინისტრო, სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი - III მდივანი

2015 წლიდან ევროპის ე.წ „საიმიგრაციო კრიზისმა“ (ინგლ. European Refugee Crisis) მსოფლიო ყურადღება მიიპყრო, როგორც ევროკავშირის რიგი წევრი ქვეყნების რადიკალური პოლიტიკური პოზიციების ფორმირების მაპროვოცირებელმა მოვლენამ. კრიზისამდე ევროკავშირი ძლიერი რეგიონული გაერთიანების ერთ-ერთ

წყარო: https://www.worldatlas.com/articles/what-is-the-visegrad-group.html

თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენდა, თუმცა მისი კონსოლიდაცია ეჭვქვეშ დადგა მას შემდეგ, რაც ევროპის საიმიგრაციო კრიზისთან მიმართებით, ზოგიერთმა წევრმა სახელმწიფომ საკუთარ ნარატივებში, ეროვნული კომპეტენციებისა და სუვერენიტეტის შენარჩუნება საერთო ევროპულ ინტერესებს დაუპირისპირა (Muzalevskaya 2016, 2). ამ პერიოდში აქტიური განხილვის საგანი გახდა ვიშეგრადის ოთხეულის -V4 (უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, სლოვაკეთი) პოზიცია, რამდენადაც V4-ში საიმიგრაციო კრიზისი და იმიგრანტების ზრდის საფრთხეები 2015-2018 წლების წინასაარჩევნო დისკურსებში მემარჯვენე პოპულისტური მოძრაობების აღზევების და მათ მიერ ძალების მობილიზაციის ერთ-ერთი ცენტრალური ინსტრუმენტი გახდა.

მემარჯვენე პოპულისტური პარტიების გავლენის ზრდა V4-ის კონტექსტში, პირველ რიგში, აქტუალურია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ვიშეგრადის ოთხეული ერთ დროს სწორედ ევროინტეგრაციის ხელშესაწყობად შეიქმნა. ევროპის საიმიგრაციო კრიზისი კი, შეიძლება ითქვას, ის გარდამტეხი საკითხი აღმოჩნდა, რამაც V4-ის პრიორიტეტები და მიზნები სრულიად შეცვალა: ერთ დროს ევროკავშირში გაწევრიანებისათვის მებრძოლმა ქვეყნებმა, ევროპის საემიგრაციო კრიზისთან გასამკლავებლად განსხვავებული გზა აირჩიეს, ევროკავშირის მიერ განაწილების კვოტების მკაცრი წინააღმდეგობისა და იმიგრაციის საკითხების ინსტრუმენტალიზებით (Gozalishvili 2019, 2). მეორე მხრივ კი, V4-ის პოზიციამ აქტუალური გახადა V4-ის მემარჯვენე პოპულისტური პარტიების ძალების მობილიზაციის ინსტრუმენტებისა და წინასაარჩევნო კამპანიებში გამოყენებული დისკურსების ანალიზი. სტატიის ფარგლებში ნათელი გახდება, რომ ვიშეგრადის ქვეყნებში იმიგრაციის, როგორც ეროვნული და რელიგიური იდენტობის საფრთხის არტიკულაცია დიდწილად მემარჯვენე პოპულისტი ლიდერების წარმატებული გამოსვლების, დისკურსული სტრატეგიებისა და საარჩევნო კამპანიების შედეგი იყო, რაც სწორედ იდენტობასა და უსაფრთხოებასთან იმიგრაციის ნარატივის ცენტრალიზებით შეძლეს. შედეგად კი, 2015-2018 წლებში პოლონეთსა და ჩეხეთში ხელისუფლებაში მოვიდნენ მემარჯვენე პოპულისტები (Pis და ANO 2011), უნგრეთში კვლავ Fidesz-მა გაიმარჯვა; სლოვაკეთში SNS-მა წინა არჩევნებთან შედარებით გაორმაგებული მხარდაჭერა მოიპოვა; WAF-BK კი პარლამენტში პირველად შევიდა. 2023 წლის მონაცემებით PiS Fidesz კვლავ მმართველი პარტიებია პოლონეთსა და უნგრეთში, ANO 2011 ჩეხეთის რესპუბლიკის ხელისუფლების სათავეში 2021 წლამდე დარჩა, ხოლო სლოვაკეთში SNS-სა და WAF-BK-ის ძალა და მხარდაჭერა წინა წლების იდენტურია.

წყარო: https://www.euractiv.com/section/enlargement/news/visegrad-countries-back-opening-of-accession-talks-with-north-macedonia-albania/

V4-ის მემარჯვენე პოპულისტური პარტიების წინასაარჩევნო რიტორიკის ანალიზი - საიმიგრაციო ნარატივების ჭრილში

2015 წლიდან, ე.წ „საიმიგრაციო კრიზისის“ ფონზე ვიშეგრადის ქვეყნებში შეიცვალა წიანსაარჩევნო რიტორიკა, რაც პოლიტიკური პარტიების კამპანიებში მემარჯვენე პოპულისტური დისკურსის გაძლიერებაში აისახა. აღნიშნულ დისკურსებში საიმიგრაციო კრიზისის საკითხმა მნიშვნელოვანი სამობილიზაციო როლი შეასრულა. თუ კრიზისამდე ვიშეგრადის მემარჯვენე პოპულისტები ორიენტირებულნი იყვნენ ისეთ საკითხებზე როგორებიც იყო: ევროსკეპტიციზმი, ანტიგერმანული განწყობები, ანტიელიტიზმი და სხვა, 2015 წლიდან, მართალია ეს დისკურსები აქტუალური დარჩა, თუმცა ცენტრალური ადგილი ანტიიმიგრაციულმა პოლიტიკამ და ისლამოფობიამ დაიკავა (Stojarova 2018, 33). ამ ნარატივების ახსნა შესაძლებელია დისკურსული ანალიზის საშუალებით, იმაზე ფოკუსირებით, თუ რა სტრატეგიებით შეძლეს ვიშეგრადის ოთხეულში მემარჯვენე პოპულისტებმა ევროპის საიმიგრაციო კრიზისით ძალების მობილიზაცია საპარლამენტო არჩევნებში. ამ მიზნით სტატიაში

გამოყენებული იქნება ისეთი რიტორიკული ხერხი, როგორიცაა ტოპოსი - იგივე არგუმენტაციის სქემა (ინგ. Topos).[1]

<u>პოლონეთი</u>. ევროპის საიმიგრაციო კრიზისი დაემთხვა 2015 წლის მიწურულს საპარლამენტო არჩევნებს პოლონეთში. პოლონეთის შემთხვევა განსაკუთრებულია, რამდენადაც 2015 წლამდე ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობდა იმიგრაციასთან დაკავშირებული პოლიტიკური დებატები. მეტიც, პოლონეთი ერთადერთი სახელმწიფო აღმოჩნდა ვიშეგრადის ოთხეულიდან, რომელმაც ყველაზე მსუბუქი პოზიცია დაიკავა ევროკავშირის მიგრანტთა გადანაწილების მეორე სქემის მიმართ (Nyzio 2017, 64). თუმცა, 2015 წლის წინასაარჩევნო კამპანია ძლიერი ანტიიმიგრაციული რიტორიკით გამოირჩეოდა მთავარი ოპოზიციური პარტიის *კანონი და სამართლიანობის (PiS)* მიერ. ეს დისკურსული ცვლილება განპირობებული იყო პარტიის პოლიტიკური სტრატეგიითა და მისი ლიდერის იაროსლავ კაჩინსკის ანტიიმიგრაციული, ისლამოფობიური რიტორიკით (Krzyżanowski 2018, 82-83).

იმიგრაცია PiS დღის წესრიგში	
• უსაფრთხოება	• ისლამოფობია
• საერთაშორისო პრაქტიკა	• ანტი-გერმანული რიტორიკა
• ვიშეგრადის ჯგუფის „ღალატი“/მთავრობის კრიტიკა	• ეპიდემიოლოგიური გამოწვევა

დისკურსული სტრატეგიების ჭრილში PiS ლიდერების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის ლინგვისტური ინსტრუმენტები კი შემდეგნაირად გამოიყურება:

[1] ტოპოსი წარმოადგენს ერთგვარ ჩამოყალიბებულ ფორმულას (სიტყვები, ანდაზები, მეტაფორები ან/და შედარებები), რომელსაც აქტორები იყენებენ საკუთარი არგუმენტების შესაქმნელად და საბოლოო პოზიციის გასამართლებლად. ტოპოსების საშუალებით აქტორები წარმოქმნიან შედეგობრივ კავშირს ჰიპოთეტური ფორმით (Zagar 2010, 5).

- საზოგადოებაში შიშის დანერგვა საფრთხისშემცველი სცენარების შექმნით - საფრთხის ტოპოსი - topos of threat;
- არგუმენტის გასამყარებლად სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნების მაგალითის მოყვანა - მაგალითის ტოპოსი - topos of example;
- კრიზისის შექმნის, გამწვავებისთვის და გადაჭრისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება გარე ძალებისათვის, რომლებიც როგორც წესი, ქმნიან პოლიტიკურ დღის წესრიგს (აქ: ანტი-გერმანული რიტორიკა) – topos of external forces;
- პარტიის სხვა ლიდერების არგუმენტების მოყვანა, ამით პარტიის შიგნით ერთიანობის, განცდის შექმნა - შედარების ტოპოსი - topos of comparison;
- მთავრობის კრიტიკა, ქვეყნის მომავლისათვის საზიანო, დრამატული სცენარის ინიციირებით - უბედურების/კატასტროფის ტოპოსი - topos of disaster;
- ჩვენ vs. ისინი - იმიგრანტების კულტურული, რელიგიური, ეთნიკური და თუნდაც ბიოლოგიური განსხვავებულობის ჩვენება, მათი ინტეგრაციის შეუძლებლობის საილუსტრაციოდ - განსხვავების ტოპოსი - topos of difference;

სლოვაკეთი მოცემული ნაშრომის ფარგლებში სლოვაკეთში ყურადღება დაეთმობა ისეთ მემარჯვენე პოპულისტურ პარტიებს, როგორებიც არიან *სლოვაკეთის ეროვნული პარტია (SNS)* ანდრეი დანკოს ხელმძღვანელობით და არჩევნებამდე 4 თვით ადრე ბორის კოლარის მიერ შექმნილი ახალი პარტია *We are Family (WAF-BK).* ორივე პარტიის მიერ ადაპტირებული დისკურსებიდან ყველაზე მკაფიოდ გამოხატული იყო - ისლამოფობია და რელიგიური, ეროვნული და კულტურული იდენტობა.

იმიგრაცია - SNS დღის წესრიგში	
• ისლამოფობია/ ისლამიზაციის საფრთხეები	• უსაფრთხოება/ტერორიზმი

• ანტი-გერმანული რიტორიკა	• **იმიგრანტების მოტივები/მორალი**
იმიგრაცია - WAF-BK დღის წესრიგში	
• უსაფრთხოება	• ისლამოფობია - მუსლიმების მიდრეკილება ტერორიზმისკენ
• ინტეგრაციის შეუძლებლობა/ განსხვავებული ცივილიზაცია	• პრიორიტეტი - სლოვაკეთის მოსახლეობის კეთილდღეობა
• საერთაშორისო პრაქტიკა	

SNS და WAF-BK - მიერ წინასაარჩევნოდ წარმოდგენილი ნარატივები და დისკურსული სტრატეგიები მსგავსია. მთავარი ადგილი უჭირავს იმიგრაციის, როგორც უსაფრთხოების გამოწვევას, ისლამოფობიას და იმიგრანტების ინტეგრაციის შეუძლებლობას. ამასთან პოლონეთთან შედარებით, მთელი რიგი განსხვავებული დისკურსული არგუმენტაციის სქემები:

- პარტიის პოზიციის გამართლება, წინააღმდეგ შემთხვევაში შიშის დანერგვა - შედეგის ან უარყოფის ტოპოსი - topos of consequence or denial;
- წინასაარჩევნო კამპანია, რომელიც მორგებულია ამომრჩეველთა სენტიმენტებს, ქმნის დაცულობისა და სიმშვიდის შეგრძნებას - იდილიური ადგილის ტოპოსი - topos of idyllic place;
- პარტიის/ლიდერის პოზიციის დაცვა ნებისმიერი ქმედების უარყოფის გზით, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ქვეყანას - თავდაცვის ტოპოსს - defence topos;

- პრიორიტეტის მინიჭება გაჭირვებული მოსახლეობისთვის - საკუთარი მოსახლეობის მსხვერპლად წარმოდგენის ტოპოსი - topos of victim-perpertrator.

რაც შეეხება ***ჩეხეთის რესპუბლიკას,*** საიმიგრაციო კრიზისის მემარჯვენე პოპულისტურ კამპანიად გამოყენება ყველაზე ნათლად 2017 წლის საპარლამენტო არჩევნებში მემარჯვენე პოპულისტური პარტიის ANO-ს გამარჯვებითა და ქვეყნის სათავეში ანდრეი ბაბიშის მოსვლით გამოვლინდა. ამ შემთხვევაში, ნათლად იკვეთება წინასაარჩევნო ძალების მობილიზაციის სამი მთავარი ინსტრუმენტი: ისლამოფობია, რელიგიური სეკურიტიზაცია და რბილი ევროსკეპტიციზმი (Strapáčová and Hloušek 2018, 13). კონკრეტულად, მემარჯვენე პოპულისტური დისკურსის გაძლიერებასა და საზოგადოების განწყობის შექმნას კრიზისის მიმართ, ხელს უწყობდა ბაბიშის უცვლელი პოზიცია იმიგრანტების ტერორისტებად წარმოჩენისა და მუსლიმების ჩეხეთის საზოგადოებაში ინტეგრირების შეუძლებლობის შესახებ, რაც უმეტესად რელიგიის დენომინატორით ხდებოდა (Guasti 2017,12).

იმიგრაცია - ANO დღის წესრიგში

• უსაფრთხოება/ტერორიზმი	• ეროვნული იდენტობა
• ისლამოფობია	• საზღვრების ჩაკეტვა/დაცვა
• ევროსკეპტიციზმი - ეროვნული კონპეტენციის დაცვა	• საერთაშორისო პრაქტიკა

რაც შეეხება არგუმენტაციის სქემებს, ბაბიშის კამპანიის ძირითადი მიმართულება უსაფრთხოება და ისლამოფობია იყო, რასაც შემდეგ პლანზე მოჰყვებოდა საზღვრების დაცვა და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება. შეგვიძლია გამოვყოთ ახალი არგუმენტაციის სქემები:

- ევროკავშირის კომპეტენციის შემცირება ეროვნული კომპეტენციის გაზრდის ხარჯზე - დელეგიტიმაციის ტოპოსი - topos of delegitimation;

- ამომრჩევლის დამშვიდების სტრატეგია და ეროვნული იდენტობის დისკურსის გარშემო ერთიანობის/ავტონომიის განცდის შექმნა - ავტონომიზაციის ტოპოსი - topos of autonomisation.

უნგრეთის შემთხვევაში 2015 წლის საიმიგრაციო კრიზისი ორბანის პარტიისთვის ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენი აღმოჩნდა მომდევნო საპარლამენტო არჩევნებში ძალების მობილიზების საქმეში. კრიზისის ფონზე Fidesz-ის მიერ გატარებულმა პოლიტიკურმა, ანტი-იმიგრაციულმა დისკურსმა შექმნა ერთგვარი ინსტიტუციონალური ჩარჩო პარტიასა და მის ამომრჩევლებს შორის და ხელი შეუწყო იმიგრაციის თემის შეტანას პარტიის წინასაარჩევნო კამპანიებში (Gyori 2017). ძირითადი ნარატივებია: რელიგიური (ქრისტიანული) და ეროვნული იდენტობის დაცვა და უსაფრთხოების საკითხები (Mendelski 2018; Canveren&Durakcay 2017, 860).

იმიგრაცია - Fidesz დღის წესრიგში

• ისლამოფობია	• ქრისტიანული იდენტობის დაცვა
• უსაფრთხოება/ტერორიზმი	• ანტი-გერმანული/ ანტი-დასავლური რიტორიკა
• ინტეგრაციის შეუძლებლობა	• საზღვრების ჩაკეტვა/დაცვა
• საერთაშორისო პრაქტიკა	

ორბანის დისკურსული სტრატეგიებიდან პარტიის მიერ გამოყენებული იყო არგუმენტაციის მრავალფეროვანი სქემები (საფრთხის, მაგალითის, განსხვავების, უბედურების, გარე ძალების ტოპოსი), დარწმუნებისა და შიშის დანერგვის სტრატეგიები, თუმცა უნგრეთში შემთხვევაში პირველად იდენტიფიცირდა და პარტიის დისკურსული სტრატეგიის ინდივიდუალურ ხასიათს ატარებდა შემდეგი რიტორიკული ხერხები:

- დისკურსში ისტორიის ტოპოსის შემოტანა რიტორიკული კითხვების მოშველიების გზით - ისტორიის ტოპოსი - topos of history as a teacher;
- მეტაფორები - „ტროას ცხენი“, „აფრიკა“ „დასავლეთის დაცემა“.

დასკვნა

კვლევის ფარგლებში 2015-2018 წლების მონაკვეთში გაანალიზებულმა V4-ში ჩატარებულმა არჩევნებმა მემარჯვენე პოპულისტების გაძლიერება და V4-ის პოლიტიკური რეალობის მემარჯვენე ორბიტაზე გადასვლა დაადასტურა.

ნაშრომში მემარჯვენე პოპულისტური პარტიების წინასაარჩევნო ძალების მობილიზაცია განვიხილეთ ევროპის საიმიგრაციო კრიზისის ფონზე ლიდერების მიერ კონსტრუირებული დისკურსებისა და დისკურსული სტრატეგიების იდენტიფიცირების გზით. ანტი-იმიგრაციული განწყობების ფართოდ იმპლემენტირებისათვის ხუთივე პარტიამ წინასაარჩევნო რიტორიკაში მრავალფეროვანი დისკურსული სტრატეგიები შემოიტანეს. წინასაარჩევნო კამპანიებმა ცხადყო ევროპის საიმიგრაციო კრიზისის კონსტრუირება სამი ძირითადი ფაქტორის გარშემო:

რელიგიური იდენტობა	• ისლამოფობიური ნარატივი, ევროპული ცივილიზაციის გადარჩენის ნარატივი
უსაფრთხოების გამოწვევები	• იმიგრანტების ტერორიზმთან გაიგივება • საზღვრების დაცვა
ეროვნული იდენტობა	• იმიგრანტების ინტეგრაციის შეუძლებლობა • ერის უნიკალურობის დაკარგვა • განსხვავებული ცივილიზაციის შიში

წყარო: https://www.theguardian.com/world/2019/may/05/london-based-media-agency-channels-victor-orban-nativist-message-hungary

გარდა მეინსტრიმული მიმართულებებისა , აღსანიშნავია კონტექსტისთვის დამახასიათებელი სტრატეგიები. ცალკეული პარტიების ლიდერებმა სპეციფიკური დისკურსები (ეპიდემიოლოგიური საფრთხე, ევროსკეპტიციზმი) გამოიყენეს ისეთი რეალობის კონსტრუირებისათვის, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა არა აწმყოში მიმდინარე მოვლენებზე მითითებას, არამედ მოსალოდნელ შედეგებზე აპელირებას საშიში სცენარების კონსტრუირებით, და საერთაშორისო პრაქტიკიდან მაგალითების ტოპოსების გამოყენებას.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ V4-ის მემარჯვენე პოპულისტების მიერ 2015-2018 წლებში საპარლამენტო არჩევნებში ძალების მობილიზების მთავარი ინსტრუმენტი მათი დისკურსული სტრატეგიების მრავალფეროვნებაში გამოიხატებოდა. ამ სტრატეგიების საერთო მიზანს ამომრჩეველში შიშის დანერგვისა და იდენტობის კრიზისის განცდის გაჩენა წარმოადგენდა. ამ მიზნით, მათ ეფექტურად შეძლეს იმიგრაციის შეტანა, როგორ ცენტრალურ, ისე დამხმარე, სპეციფიკურ დისკურსებსა და დისკურსულ სტრატეგიებში, რამაც ამომრჩევლების განწყობებზე ბევრი ასპექტით (პოლიტიკური, რელიგიური, ეროვნული) ზემოქმედებისა და

არჩევნებში პოპულისტური, ანტი-იმიგრაციული პოლიტიკის ფართომასშტაბიანი პროპაგანდის საფუძველი შექმნა.

ბიბლიოგრაფია:

Canveren, Onder and Fulya Akgul Durakcay. 2017. The Analysis of the Hungarian Government's Discourse towards the Migrant Crisis: A Combination of Securitization and Euroscepticism. *Management and Economy* 23, no 3: 857-876.

Gozalishvili, Nino. 2020. *Disintegration through Integration? Turning to the Transnational Approach to Study National-Populism on the Example of the Visegrád Group*. Centre for Euro-Atlantic Integration and Democracy. https://think.visegradfund.org/wp-content/uploads/Think-Visegrad-2020-CEID-Study_GOZALISHVILI.pdf (25.05.2021)

Guasti, Petra. 2017. Left and Right and Beyond: Analyzing Representative Claims in the Czech Republic. *ECPR General Conference*. Norway: Oslo

Győri, Gábor. 2016. *The political Communication of the Refugee Crisis in Central and Eastern Europe.* Budapest: Policy Solutions.

Krzyżanowski, Michał. 2018. Discursive Shifts in Ethno-Nationalist Politics: On Politicisation and Mediatisation of the 'Refugee Crisis' in Poland. *Immigrant & Refugee Studies* 16, no 1: 76-96.

Mendelski, Bruno. 2019. The Rhetoric of Hungarian Premier Victor Orban: Inside X Outside in the Context of Immigration Crisis. *The Palgrave Handbook of Ethnicity:* 1830-1851

Muzalevskaya, Maria. 2016. *Europe's Refugee Crisis: A comparative Analysis of Germany and France.* MA Thesis, Boston University.

Stojarova, Vera. 2018. Populist, Radical and Extremist Political Parties in Visegrad countries vis à vis the migration crisis. In the name of the people and the nation in Central Europe. *Open Political Science,* no 1: 32-45.

Strapáčová Michaela and Vít Hloušek. 2018. Anti-Islamism without Moslems: Cognitive Frames of Czech Antimigrant Politics. *Journal of Nationalism, Memory & Language Politics* 12 no 1: 1-30.

Zagar, Igor. 2010. Topoi in Critical Discourse Analysis. *Lodz Papers in Pragmatics* 6 no.1: 3-27.

Nationalism & Ethnicity Studies Center